გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მაია ბოლაშვილის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის თვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 216 საკითხის განხილვაში.

ვარ პროპორციული წესით არჩეული ფრაქცია „გორი-საქართველოსთვის" წევრი. დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 13 საკითხის განხილვაში.

ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. დავესწარი კომისიის 3 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 10 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. დავესწარი კომისიის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 48 საკითხის განხილვაში.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. განვლილი პერიოდის მანძილზე მონაწილეობა მივიღე გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ განხორციელებულ ოთხ ტრენინგში, რომელიც ეხებოდა ქალთა გაძლიერების პლატფორმას, გენდერული თანასწორების საკითხებს და ქალთა ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- შევხვდი კომბინატის დასახლების, ბაქოს ქუჩის #2-ის მცხოვრებლებს, სადაც გამოიკვეთა ეზოს კეთილმოწყობის პრობლემა.
- შევხდი სოფ. პატარა მეჯვრისხევის მოსახლეობას. რომლებთანაც ვისაუბრეთ სოფლისთვის სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის პრობლემებზე.
- შევხვდი სოფელ ფლავის მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა თხოვნა საკრებულოსთან რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შევხვდი ქ. გორში, შარტავას ქუჩის N77-ის მცხოვრებლებს რომლებმაც ითხოვეს მწოლიარე პოლიციელის დამონტაჟება.
- შევხვდი ქ. გორში ნინოშვილის ქუჩის მცხოვრებლებს. მათ აწუხებთ წვიმის დროს ეზოებში წყლის ჭარბი რაოდენობის დაგროვება და სურთ, რომ ტროტუარი თავიდან იყოს დაგებული.
- შევხვდი ქ. გორში ჭავჭავაძის ქ.N47 -ის მოსახლეობას ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შევხვდი გორში, ეკატერინე ჯუღაშვილის და ნინოშვილის ქუჩის მოსახლეობას, სადაც გამოიკვეთა, ეკატერინე ჯუღაშვილის N64-ის და პუშკინის ქუჩის N10-ის გადაკვეთაზე ხელოვნური უსწორმასწორობის, განთავსების საჭიროება.

- შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის ახალგაზრდულ ჯგუფს, რომლებიც ითხოვენ მათ სოფელში ახალგაზრდული ინტელექტუალურ-გასართობი სივრცის მოწყობას.
- შევხვდი გორში, ცხინვალის გზატკეცილი N7 და N9 კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შევხვდი გორში, ჩერქეზიშვილის ქუჩის მცხოვრებლებლებს, რომელთაც აწუხებთ მათ ქუჩაზე შეჩერებული სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- შევხვდი გორში ბ. ჯუღაშვილის ქუჩის მცხოვრებლებს. მათ პრობლემას წვიმის დროს ქუჩაზე დაგროვილი წყლის გუბეები წარმოადგენს და ასევე ქუჩაზე გარე განათების ნათურებია დაზიანებული.
- შევხვდი გორში, სტალინის ქუჩა N18 - ში მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შევხვდი გორში, ჩერქეზიშვილის ქუჩის მოსახლეობას, რომლებსაც აწუხებთ მათ ქუჩაზე არასწორი მოასფალტების შედეგად საკუთარი ეზოების მდგომარეობა. კერძოდ, წვიმის მოსვლის შემთხვევაში, მათი დატბორვა.
- შევხვდი გორში ბ. ჯუღაშვილის ქუჩის მცხოვრებლებს. მათ პრობლემას ისევ წვიმის დროს ქუჩაზე დაგროვილი წყლის გუბეები წარმოადგენს და ასევე აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე ბოძებზე ნათურებია დაზიანებული.
- შევხვდი გორში, ცხინვალის გზატკეცილი N7-8 მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შევხვდი გორში, გრიგოლ რობაქიძის N10, 11, 12, 13 - ში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთაც აწუხებს ქუჩის გახანგრძლივებული სარეაბილიტაციო სამუშაოები და ასევე ითხოვენ მოძველებული და თითქმის უკვე მწყობრიდან გამოსული საკანალიზაციო სისტემის განახლებას.
- შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავის ახალგაზრდობას,რომლებიც ითხოვენ აღნიშნულ სოფელში ახალგაზრდული სივრცის მოწყობას, არსებული ძველი ბიბლიოთეკის განახლებას და აფთიაქს.
- შევხვდი გორში, პუშკინის ქ. N2,3,4 - კორპუსში მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შევხვდი, სოფელ ბერშუეთის მოსახლეობას. შეხვედრაზე გამოიკვეთა სოფლის შიდა გზების მოუწესრიგებლობის პრობლემა.
- შევხვდი გორის ი. სუხიშვილის N13/14 საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებლებს, რომელთაც აწუხებთ ეზოსა და სადარბაზოების კეთილმოწყობის პრობლემა.
- შევხვდი გორში, ბ. ჯუღაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).

- შეხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის მოსახლეობას. შეხვედრაზე გამოიკვეთა სასმელი წყლის ხშირი შეწყვეტის პრობლემა.
- შეხვდი სოფელ პატარა მეჯვრისხევის მცხოვრებლებს, რომლებიც ჩივიან სარწყავი წყლის პრობლების შესახებ.
- შეხვდი გორში, სტალინის გამზირი N4 - ში მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შეხვდი გორში, მეჯვრისხევის ქუჩის (ბარაკების დასახლება) მაცხოვრებლებს, რომლებსაც აწუხებთ ქუჩის მოასფალტების პრობლემა და ასევე სასმელი წყლის პრობლემა.
- შეხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის მოსახლეობას. სოფლის მაცხოვრებლებს აქვთ სარწყავი წყლის პრობლემა.
- შეხვდი გორში, სტურუას ქუჩაზე მცხოვრებ მოსახლეობას. ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შეხვდი გორის კომბინატის დასახლების, შინდისის ქუჩის N16ა კორპუსის მაცხოვრებლებს, რომლებიც ითხოვენ საცხოვრებელი კორპუსუს ეზოს მოწესრიგებას,სადაც ხშირია საკანალიზაციო გაყვანილობასთან დაკავშირებული პრობლემები.
- შეხვდი სოფელ ტინისხიდის მოსახლეობას, რომლებიც ჩივიან სოფლის შიდა გზების და შიდა განათების მოუწყობლობის გამო.
- შეხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კვარხეთის მოსახლეობას ამომრჩეველს ჰქონდა საკრებულოსთან თხოვნა რიგ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირებულია შესაბამის აქტში (თან ერთვის ამომრჩეველთან შეხვედრებისთვის დამადასტურებელი აქტი).
- შეხვდი ყრუთა საზოგადოების წარმომადგენლებს, სადაც გამოიკვეთა მათი დასაქმების და მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის პრობლემა.

მონაწილეობა მივიღე ფრაქცია ''გორი საქართველოსთვის'' მიერ დაინიცირებულ ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

1. გორში მდინარე მეჯუდის კალაპოტის და მისი შემოგარენის გაწმენდის საკითხი, რომელიც გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი სამსახურების მიერ და პრობლემა მოგვარდა;
2. ჩვენი ფრაქციის ინიცირებით განხორციელდა მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების მოვლა პატრონობის წესების განახლება და ახალი რეგულაციების შემოღება.
3. საზაფხულო შემეცნებით-გასართობი ბანაკის მოწყობა უკრაინელი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის;
4. პარტია ''საქართველოსთვის'' ქალთა გაძლიერების პლატფორმის ფარგლებში უშუალოდ ჩემი ჩართულობით კერძო სექტორში დასაქმდა 15 შეზღუდული შესაძლებლობის პირი ქალი;

მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდში ვგეგმავ კვლავ აქტიურად შევხვდე გორის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს,გავიზიარო მათი პრობლემები და საკრებულოს, შესაბამისი კომისიებისა და ფრაქცია ''გორი საქართველოსთვის'' სხდომებზე დავაინიცირო ყველა ის საკითხი, რაც ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებზე იქნება მორგებული. ასევე გავაგრძელებ გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობას და ინტენსიურად დავესწრები მათ მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა და შეხვედრებს. ქალთა პლატფორმის გაძლიერების კუთხით გადაწყვეტილი მაქვს ინტენსიური კომუნიკაცია ვიქონიო გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან და ხელი შევუწყო მათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში აქტიურად ჩართულობას. ასევე ვითანამშრომლებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებთან, რათა დროულად და ხარისხიანად მივაწოდო ინფორმაცია იმ მუნიციპალური სერვისების შესახებ, რომლებიც მათ განსაკუთრებულ მოთხოვნა-საჭიროებებზე იქნება მორგებული და დავეხმარო საჯარო და კერძო სექტორში შესაძლო დასაქმების მხრივ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების:
მამუკა ფანიაშვილის, მერაბ გოხელაშვილის და მაია ბოლაშვილის
ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2022 წლის 28 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს წევრები: მამუკა ფანიაშვილი, მერაბ გოხელაშვილი და მაია ბოლაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ.გორის მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ნონა ასკილაშვილი. რადიო „მოზაიკას" ჟურნალისტი ანა ჯიოშვილი და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ფრაქცია „გორი-საქართველოსთვის" თავმჯდომარე მამუკა ფანიაშვილი;

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრების: მამუკა ფანიაშვილის, მერაბ გოხელაშვილის და მაია ბოლაშვილის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;

შეხვედრა გახსნა სხდომის თავმჯდომარემ მამუკა ფანიაშვილმა, რომელმაც გააკეთა განმარტება, იმის თაობაზე, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მან ასევე დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მისი აზრით საჭიროა მოსახლეობა აქტიურად იყოს ჩართული

საკრებულოს საქმიანობაში, დაესწროს საკრებულოსა თუ ფრაქციის სხდომებს და თავისი აზრი დააფიქსიროს. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ფანიაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: პაატა კასრაძემ და ევგენი ბასილაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

მამუკა ფანიაშვილმა სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მერაბ გოხელშვილს, რომელმაც გააკეთა განმარტებები მიმდინარე პერიოში გაწეული საქმიანობის შესახებ. ისაუბრა ამომრჩეველთან შეხვედრების დროს გამოვლენილ ინფრასტუქტულულ და სოციალურ პროექტებზე, მათი მოგვარების გზებზე. მისი აზრით საჭიროა დროულად დასრულდეს ქალაქის მიწათსარგებლობის გენგეგმაზე მუშაობა, რათა არ მოხდეს ქალაქის ქაოტური განაშენიანება

აზრი გამოთქვა: ხატია სტეფანოვმა ; თორნიკე ბასიშვილმა.

გადაწყვიტეს: ამომრჩეველთან ერთად მოხდეს პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის გზების დაგეგმვა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მაია ბოლაშვილს, რომელმაც ისაუბრა ასევე მიმდინარე პერიოში გაწეული საქმიანობის შესახებ ამომრჩეველს დეტალურად გააცნო მიმდინე პერიოდის ანგარიში . ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდების აქტიურობაზე და დაპირდა მათ სხვადასხვა სახის მუნიციპალურ პროექტებში ჩართვას.

აზრი გამოთქვა: ანა ჯიოშვილმა; ნონა ასკილაშვილმა

გადაწყვიტეს: ამომრჩეველთან ერთად მოხდეს პრობლემების გამოვლენა, ეტაპობრივად ჩაერთვებიან ახალგაზრდებიც შემდგომი წლის ბიუჯეტის

პრიორიტეტების დაგეგმვაში, რათა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და პროგრამები მორგებულ იყოს მათ საჭიროებებზე. და მათი გადაწყვეტის გზების დაგეგმვა.

საკრებულოს წევრი : მამუკა ფანიაშვილი;

საკრებულოს წევრი : მერაბ გოხელაშვილი

საკრებულოს წევრი : მაია ბოლაშვილი